/პროექტი/

საქართველოს კანონი

„საპარლამენტო ფრაქციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. "საპარლამენტო ფრაქციის შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 41, 8.10.1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ 1. ფრაქციის ჩამოყალიბების უფლება აქვს არანაკლებ ექვს პარლამენტის წევრს, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო პარლამენტმა.".

2. **მე-6 მუხლის მე-2 პუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ 2. ფრაქცია ჩამოყალიბებულად ითვლება მასში გაერთიანებული არანაკლებ ექვსი პარლამენტის წევრის მიერ ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების მიღების მომენტიდან.".

3. **მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ 3. ფრაქციიდან წევრის გარიცხვის შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე 3 დღის ვადაში წერილობით აცნობებს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს და პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს. თუ ფრაქციაში დარჩა ექვსზე ნაკლები პარლამენტის წევრი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ფრაქციის გაუქმების შესახებ უახლოეს პლენარულ სხდომაზე აცნობებს პარლამენტს.".

4. **მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა ექვსზე ნაკლები პარლამენტის წევრი, ფრაქცია გაუქმებულად ჩაითვლება, რასაც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი უახლოეს პლენარულ სხდომაზე აცნობებს პარლამენტს და ქვეყნდება „პარლამენტის უწყებანში.".

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი